სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლებისა მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესია: რეგულირებადი
სწავლის ფართო სფერო: 01 განათლება (Education) (ISCED-F-2013)
სწავლის ვიწრო სფერო: 011 განათლება (Education)
დეტალური სფერო:
0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით (ISCED-FoET-2013)
უმაღლესი განათლების II საფეხური
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე

პროგრამის ხელმძღვანელები:

ნინო ნახუცრიშვილი _ განათლების დოქტორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი

ნინო მოდებაძე _ განათლების დოქტორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი

მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი № 12, 20.11. 2024წ.
ფაკულტეტის დეკანი:

/ პროფ. ნ. მოდებაძე/

რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ
ოქმი №20, 22.11. 2024 წ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:
/ასოც. პროფ. ს. თათულიშვილი/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი №25, 22.11. 2024 წ.

უნივერსიტეტის რექტორი /ასოც. პროფ. შ. ჭკადუა/

თელავი
2024 წ

განათლებისა მეცნიერებათა ფაკულტეტი
განათლებისა მეცნიერებათა დეპარტამენტი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
ზოგადი განათლების **Bachelor's and Master's Integrated Program of Primary Education**

პროგრამის ანალოგ(ებ)ი:
https://www.pedagog.uw.edu.pl/english-version/faculty-of-education-university-of-warsaw/

https://www.auckland.ac.nz/en/study/study-options/find-a-study-option/primary-teaching/undergraduate.html

https://www.educ.cam.ac.uk/courses/pgce/primary/#:~:text=The%20PGCE%20course%20prepares%20our,start%20of%20their%20educational%20career

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:
ნინო ნახუცრიშვილი _განათლების დოქტორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი. საკონტაქტო ინფორმაცია: email: nino.nakhutsrishvili@tesau.edu.ge T. +995 -599-28 55 75
ნინო მოდებაძე _ განათლების დოქტორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი საკონტაქტო ინფორმაცია: email nino.modebadze@tesau.edu.ge T. +995 -555-452794

აკადემიური განათლების საფეხური: უმაღლესი განათლების II საფეხური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი: განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი
(დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების სწავლების უფლებით) და დამატებით (არჩევითი მოდულების შესაბამისად):
ა) V-VI კლასის ორი საგნის (შემდეგი სამიდან არჩევით: ქართული/ მათემატიკა/ ბუნებისმეტყველება) სწავლების უფლებით.
ან ბ)
სპეციალური მასწავლებლობის უფლებით, სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულის სრულად გავლის შემთხვევაში (აისახება დიპლომის დანართში)
Master of Education (With the right of teaching Georgian / Mathematics/ Natural Studies of I-IV classes of primary level of Secondary education and two subjects of additional V-VI Classes ((choosing from the following three subjects Georgian/ Mathematics /Natural Studies) ; or the right to be special education teacher.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 300 ECTS კრედიტი
პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად თანმიმდევრულია. ის აგებულია შემდეგი პრინციპით, შეიცავს **ძირითად ნაწილს** და **ორ არჩევით მოდულს:**
ა. არჩევით მოდულს მე-5 და მე-6 კლასებში ქართულის და/ან მათემატიკის და/ან ბუნებისმეტყველების (მათგან ორის არჩევით) საგნების სწავლების მიმართულებით;
ბ. არჩვით მოდულს სპეციალური მასწავლებლის მომზადების მიმართულებით.
<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u>

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის, ,,სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს (ან საქართველოს კანონმდებლობით მასთან გათანაბრებულ პირს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტს აქვს შესაძლებლობა არჩევით გამოცდად ჩააბაროს ერთ-ერთი საგანი შემდეგიდან:

- მათემატიკა
- ისტორია

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელების და მასზე სწავლის მსურველთა დაშვების შესახებ გამჭვირვალე და საჯაროა, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვედზე www.tesau.edu.ge, და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პედაგოგი კონკრეტული საგნობრივი (და სპეციალური მასწავლებლის)[1] სპეციალიზაციით, რომელთა კომპეტენციებიც შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით (სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით")[2] განსაზღვრული სულ მცირე უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოთხოვნებთან.
2. მისცეს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი ღრმა, სისტემური თეორიული ცოდნა და დააუფლოს პრაქტიკულ უნარებს, რომ ათვისებულის კრიტიკული გააზრებით, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებით შეძლოს მისი აქტიური და მიზნობრივი რეალიზება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელება, სასწავლო მიზნების შესაბამისად ინოვაციური მიდგომების, მეთოდების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე სტრატეგიების, ინსტრუმენტების, სასწავლო რესურსების ეფექტიანად გამოყენება.
3. აღჭურვოს უნარებით, რომ თითოეული მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, საჭიროებების გათვალისწინებით და უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაცვით შეძლოს მოსწავლეზე ორიენტირებული, მამოტივირებელი და პოზიტიური გარემოს შექმნა, კლასის მართვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ, სოციალურ-ემოციურ, კოგნიტურ განვითარებას, მათში სწავლისადმი მოტივაციისა და ინტერესის გაღვივებას.
4. გამოუმუშავოს პროფესიული პასუხისმგებლობა, ღირებულებები, ადეკვატური რეფლექსიისა და თვითშეფასების უნარები, რომ პროფესიული ეთიკის დაცვით შეძლოს საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, პროფესიული განვითარების ოპტიმალური გზების მოძიება-

[1] სპეციალური მასწავლებლის მოდულის გავლის შემთხვევაში.

[2] სპეციალური მასწავლებლის მოდულის გავლის შემთხვევაში.

განხორციელება, საკუთარი თუ სხვისი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა, ჯანსაღი კომუნიკაცია, პედაგოგიური სიტუაციების შეფასება-ანალიზი, პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური გზების მოძიება, პრაქტიკის კვლევის განხორციელება და სწორი გადაწყვეტილებების მიღება, რაც მიმართული იქნება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და ხარისხის ამაღლებაზე.

პროგრამის განხორციელება მიმართულია იმ მიზნისკენ, რომ ხელი შეუწყოს სისტემის მომარაგებას კვალიფიციური მასწავლებლების კადრით როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ და პროფესიონალ მასწავლებელთა შესაძლებლობების რეალიზების უზრუნველყოფას სამეცნიერო სფეროში.

პროგრამის მიზნები შეესაბამება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა მისიას, მიზნებს და უნივერიტეტისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებს, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.

საგანმანათლებლო პროგრამა ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას, თანხვედრაშია როგორც მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან, ისე ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შეესაბამება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზნები შესაბამისობაშია მისი ფუნქციონირების მისიასთან და ორიენტირებულია შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრაზე:

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროგრამის ეფექტიანი განხორციელება;
- სწავლა სწავლების პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- ეროვნული პრიორტიტეტების გათვალისწინებით შრომითი ბაზრისათვის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კონკურენტუნარიანი პედაგოგიური კადრის მომზადება სულ მცირე უფროსი მასწავლებლისთვის (და სპეციალური მასწავლებლის)[3] საჭირო კომპეტენციებით
- პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება.

ამოცანების შესასრულებლად დაგეგმილი გზები და საშუალებები:

ა) სტუდენტთათვის კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო კურსების, სასკოლო (და პროფესიული[4]) პრაქტიკის და პრაქტიკის კვლევის ეფექტიანად განხორციელება;

ბ) სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსალური დიზაინის პრინციპებით აგებული პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

გ) ,,სკოლა-უმაღლესი სასწავლებელი-სკოლა'' ამ უწყვეტ კავშირში ერთ-ერთი მთავარი მარეგულირებელი რგოლის შექმნა, ინოვაციური, ქმედითი ღონისძიებების, აქტივობების, დაგეგმვა-განხორციელება, სადაც მნიშვნელოვნად იქნებიან ჩართულები საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და რაც უშუალოდ მიმართული იქნება თანამედროვე მოთხოვნებისა და სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით სტუდენტთა პროფესიულ მომზადებაზე. ამავდროულად, 21-ე საუკუნის სკოლის საჭიროებების შესაბამისად პროგრამის მუდმივი განახლება-განვითარების ხელის შეწყობა-პოპულარიზაცია, რაც თავისთავად აისახება რეგიონის სკოლების კურსდამთავრებულთა მოზიდვით პროგრამაზე და სკოლების უზრუნველყოფით მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრით;

[3] სპეციალური მასწავლებლის მოდულის გავლის შემთხვევაში.

[4] სპეციალური მასწავლებლის მოდულის გავლის შემთხვევაში.

4. განათლების სფეროში ინოვაციების მოძიება-მოზიდვა, დანერგვა, სამეცნიერო კვლევითი გარემოს შექმნა და სტუდენტებისა თუ პერსონალისათვის სამეცნიერო (პრაქტიკული) კვლევების ხელშეწყობა.

<u>სწავლის შედეგები:</u>

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებში თვითშფასებასა და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული დარგობრივი კომპეტენციების დაუფლებას, კვლევითი უნარების განვითარებას პროფესიულ/კვლევით საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზების და კარიერული წინსვლის მიზნით.

პროგრამის დასრულების შემდეგ დაწყებითი განათლების მაგისტრი:

- გარკვეული იქნება განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებში,
- გაცნობიერებული ექნება პროფესიის, შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკა და პროფესიული ღირებულებები;
- დაეუფლება სულ მცირე უფროსი მასწავლებლის (და სპეციალური მასწავლებლის)[5] სტატუსის მქონე პედაგოგისათვის საჭირო ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

კურსდამთავრებულს ექნება განათლების მაგისტრის კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, 1-4 კლასებში, ეროვნული სასწავლო გეგმით (საათობრივი ბადით) განსაზღვრული საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და დამატებით: ა) V-VI კლასებში აღნიშნულთაგან (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება), პირადი არჩევანით შერჩეული ორი საგანი შესაბამისი მოდულის გავლის შედეგად. ან

ბ) სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულის სრულად გავლის შემთხვევაში იმუშაოს სპეციალურ მასწავლებლად.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს <u>კომპეტენციებს შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:</u>

	სწავლის შედეგები:
I ცოდნა და გაცნობი ერება	**1. პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება** აღწერს, როგორ შექმნას ყველა მოსწავლისათვის პოზიტიური, მამოტივირებელი, დიფერენცირებული და კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითად პრინციპებზე დაფუძნებული, ფიზიკურად, სოციალურ-ემოციურად და კოგნიტურად უსაფრთხო, ინკლუზიური სასწავლო გარემო; აცნობიერებს უნივერსალური დიზაინის მიდგომის გამოყენების მნიშვნელობას; განსაზღვრავს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისთვის საჭირო ინტერვენციებს და რემედიაციის მეთოდებს მათი მრავალფეროვნების გათვალისწინებით; აღწერს ძირითად ფაქტორებს, რაც განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სასკოლო კულტურას, გარემოს და მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე პროფესიული განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

[5] სპეციალური მასწავლებლის მოდულის გავლის შემთხვევაში.

	2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება აღწერს ეროვნული განათლების სისტემის სტრუქტურას, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ესგ-ს მოთხოვნებს, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და ყველა იმ საჭირო მოთხოვნებს, რაც მას სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებაში დაეხმარება; მსჯელობს განვითარების, სწავლების ძირითადი თეორიების, სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებულ სტრატე გიებისა და რესურსების მნიშვნელობასა და მიზნობრივ გამოყენებაზე, აცნობიერებს მათ როლს მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგემვისა და წარმართვისათვის; მსჯელობს მდგრადი განვითარების მიზნებსა და პრინციპებზე და მათი სწავლების მნიშვნელობაზე მაღალმოქლაქეობრივი, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებასა და აღზრდაში. მსჯელობს სასწავლო მიზანთან მიმართებაში შეფასების ტიპების, პრინციპების, მეთოდებისა, კრიტერიუმების მისადაგებაზე და ეფექტიანი განმავითარებელი შეფასების გამოყენების მნიშვნელობაზე დაწყებით ს აფეხურზე. მსჯელობს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობაზე მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარებისათვის **1.3. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა** შეარჩევს პროფესიული განვითარების ძირითადი პრინციპების შესაბამისად პროფესიული განვითარების მოდელებს, რეფლექსიის, თვითშეფასების შესაბამის ფორმას და განხორციელების გზებს. აცნობიერებს და მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე პროფესიული განვითარებისა და პროფესიული საქმიანობს ხარისხის გაუმჯობესებისთვის; განიხილავს და მსჯელობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებზე, კვლევის მეთოდებზე განათლებაში და მათი მიზნობრივი გამოყენების მნიშვნელობასა და შესაძლებლობებზე პროფესიული განვითარებისა და სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. აღწერს პრაქტიკის კვლევის სპეციფიკას, მისი წარმართვის თავისებურებებსა და კვ ლევის მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. განიხილავს და მსჯელობს ინკლუზიური განათლების არსის, მისი ძირითადი პრინციპებისა და მახასიათებლების შესახებ; აღწერს და მსჯელობს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის: აკომოდაციის/მოდიფიკაციის სახეებსა და მის მნიშვნელობაზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში; განიხილავს ბავშვის განვითარების დარღვევებს და მათ გამოვლინებებს, რომელიც ხელს უშლის ინდივიდს სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებაში; ასაბუთებს ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში გუნდური მიდგომის მნიშვნელობას სხვა მასწავლებლებთან, სპეციალისტებთან, სპეციალური

	საგანმანათლებო საჭიროების მქონე პირებთან და ოჯახებთან თანამშრომლობისა და მათი მხარდაჭერის აუცილებლობას.[6]
II უნარები	**1.პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება** მოსწავლეთა ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ასევე თითოეულის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის, ქმნის და მართავს ეფექტურ, ორგანიზებულ, სწავლის ხელშემწყობ, თანაბრად ხელმისაწვდომ და უსაფრთხო სასწავლო გარემოს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას ამ გარემოსთან, ინტეგრაციას ჯგუფთან და შესაბამისი ქცევის წესების ჩამოყალიბებას; დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის მეთოდების გამოყენებით, მოს წავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით რთავს მათ მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებში; მიზნობრივად იყენებს კლასის მართვის ეფექტურ სტრატეგიებს. ხელს უწყობს მ ოსწავლეთა თვითრეგულირებადი ქცევის და მათ შორის ჯანსაღი, პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ხელს უწყობს და ახორციელებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან საქმიან თანამშრომლობას და ეფექტურ კომუნიკაციას უკონფლიქტო გარემოს უზრუნველყოფის, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაანალიზების და მათი მოგვარების მიზნით; **2.2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება** ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს თემატურ სტრუქტურულ ერთეულს ყველა კომპონენტი ურთიერთკავშირების და შიდასაგნობრივი თუ საგანთაშორისი კავშირების გათვალისწინებით; სასწავლო გეგმის მიზნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით აკადემიური კეთილსინდისიერებით მოიძიებს, ქმნის და იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსებს და ICT ტექნოლოგიებს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობასა და ცოდნისმოყვარეობის განვითარების მიზნით შეარჩევს და მიზნობრივად იყენებს სწავლისა და სწავლების მოტივაციის ამაღლების მრავალფეროვან სტრატეგიებს; ხელს უწყობს მოსწავლეთა საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას და მათ ფსიქოემოციურ, კოგნიტურ მომზადებას სწავლების შემდეგი საფეხურისთვის. ითვალისწინებს დიფერენცირებული და კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს სასწავლო პროცესის დაგეგმვა-წარმართვისას და ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში ჩამორჩენის დაძლევაში რემედიაციული სტრატეგიების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლის უნარის ჩამოყალიბებას; სწავლების პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენებით სთავაზობს მოსწავლეებს ამოცანებს, რომლებიც ორიენტირებულია მდგრადობაზე, პრობლემების გადაჭრაზე.

[6] სპეციალური მასწავლებლის მოდულის გავლის შემთხვევაში.

	მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს მრავალფეროვან კლასგარეშე საქმიანობას. შეფასების მეთოდების, ინსტრუმენტების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენებით გასცემს მოსწავლეზე ორიენტირებულ განმავითარებელ უკუკავშირ ს მათი კოგნიტური და პიროვნული განვითარებისთვის. **2.3 პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა** საკუთარი პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის, თვითშეფასების და კოლეგებისა თუ დირექციისაგან მიღებული უკუკავშირის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახდენს საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისთვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას, ამ მიზნით აქტიურად მოიძიებს და იყენებს ახალ ცოდნას, მიგნებებს განათლების მეცნიერებაში; სასკოლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ახდენს პრობლემის/საჭიროების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელებასა და მათი ეფექტიანობის შეფასებას, გეგმავს და ახორციელებს კვლევებს შესაბამისი ინსტრუმენტების მოძიებით და გამოყენებით. ამოიცნობს ინდივიდის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების საფუძველზე, ადგენს და ახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებთან ერთად, გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს/პროგრამას სასწავლო გარემოში თანატოლებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად. მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავებს და ახორციელებს ტრანზიციის გეგმას ტრანზიციის პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობით. წარმართავს განათლების პროცესს უნივერსალური სასწავლო დიზაინის პრინციპების შესაბამისად.[7]
III პასუხის მგებლობა და ავტონომიურობა	**3.1. პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება** აღიარებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას სწავლებისას პოზიტიური და მოსწავლეზე ორიენტირებული საინტერესო, მასტიმულირებელი სასწავლო გარემოს შექმნისთვის დაწყებით საფეხურზე. **3.2.სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება** მსჯელობს და აღიარებს ზოგადი განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად განათლების სფეროში ინოვაციური მიდგომების მნიშვნელობასა და გამოყენებაზე სწავლა-სწავლების ეფექტიანად განხორციელებისა და საკუთარი პროფესიულ განვითარებისთვის. აღიარებს, რომ სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების გამოყენება დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ინტერესისა და მოტივაციის ზრდას და მათ მრავალმხრივ განვითარებას.

[7] სპეციალური მასწავლებლის მოდულის გავლის შემთხვევაში.

	3.3. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ორიენტირებულია სიახლეების ათვისებაზე, სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით და პროფესიული ეთიკის დაცვით პრაქტიკაში დანერგვაზე, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე გაცნობიერებული აქვს და აღიარებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის ეფექტიანად დაგეგმვა-განხორციელების მნიშვნელობა სწავლება-სწავლის შედეგების და საკუთარი პროფესიული განვითარების გაუმჯობესებისათვის.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები/ფორმები: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების, აქტივობების, შეფასების სხვადასხვა ფორმების კომპონენტების და კრიტერიუმების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების მისაღწევად და სტუდენტთათვის სასურველი კომპეტენციების დასაუფლებლად სასწავლო კურსები მიმდინარეობს ლექცია/სემინარის, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმატით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერაქტივს, ჩართულობას, სტუდენტთა აქტივობას. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, მათგან საჭიროს კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პროფესორი:

ლექცია -მისი ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ლექცია მოიცავს სასწავლო პროგრამით დაგეგმილი ძირითადი თემატიკის განხილვას და სტუდენტის უზრუნველყოფას სათანადო ინფორმაციით. სალექციო კურსები ორიენტირებულია თეორიული კვლევისა და აღნიშნულ სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესწავლაზე. ლექციები იკითხება პრობლემურ ასპექტში, ე.ი. ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის საკვანძო დებულებების გამოკვეთაზე, განმარტებებზე, აღნიშვნებზე, დაშვებებზე, მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკულ ანალიზზე. ლექცია უზრუნველყოფს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე, სადაც სტუდენტები ჩართულები არიან ინტერაქტიურ რეჟიმში; ამდენად, ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი.

სემინარი - მისი დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. პროფესორის ან სემინარის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. სემინარზე მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. ლექტორი კოორდინირებას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას. სემინარული მუშაობისას გამოვლინდება თუ რამდენად სწორად აღიქვამს სტუდენტი შერჩეულ საკითხს, პრობლემას და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი მოთხოვნის მიხედვით ამუშავებს კონკრეტულ თემას, მისი დახმარებით

სურვილისამებრ ამზადებს რეფერატს ან/და პრეზენტაციას, სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას; პრაქტიკულ მეცადინეობებს დიდი ადგილი უკავია თითქმის ყველა სასწავლო კურსის სწავლებაში, რადგან კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველი ხდება.

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსია თანმდევი პროცესია პრობლემური საკითხის გადასაჭრელად საკითხის დასმისას, დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - ეს სტრატეგია ღირებულია მომავალი პედაგოგების მომზადებისთვის, ის ითვალისწინებს მიდგომას, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ჯგუფური (collaborative) და წყვილებში მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად და/ან წყვილებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან: პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა. დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).გამო რიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან. კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა. შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

ინდუქციური მეთოდი, განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით

კონკრეტულთან მიმართებაში სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება ეხმარება სტუდენტს საკითხის გააზრებასა და ცოდნის ტრანსფერში.

ელექტრონული სწავლების ელემენტები (E-learning) – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება. სასწავლო კურსის მასალის გადასაცემად შერჩეულ იქნება რელევანტური ელექტრონული ტექნოლოგიური ინსტრუმენტები (აუდიო-ვიდეო მასალები, Power Point ლექციები, ონ-ლაინ და ოფ-ლაინ რესურსები, სტუდენტებთან სამუშაოდ და მათი სხვადასხვა ინფორმაციების გასათავსებლად - სხვადასხვა პლატფორმები).

ელ პორტფოლიო: პორტფოლიოს შექმნა სტუდენტისა და ლექტორისათვის ერთგვარი მეტრია პროფესიული ზრდის დინამიკის დასადგენად და განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მასწავლებლის მომზადების პროგრამის განხორციელებისას.

დემონსტრირების (თვალსაჩინოების) მეთოდი ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენა შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ (პრეზენტაცია).თვალსაჩინოების მეთოდის კარგი მაგალითია ვიდეომასალების ჩვენება და განხილვა, რომელიც მოდელირებული სიტუაციების ბუნებრის ფორმატს წარმოადგენს, ეს რიგი სასწავლო კურსებისთვის სწავლა-სწავლების ეფექტური მეთოდოლოგიის ნაწილია. ვიდეომასალა შეიძლება აღწერდეს იმ სფეროში მომხდარ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას და ის გაგრძელდეს სტუდენტებთან ე.წ. **შემთხვევის ანალიზის** ფორმატით.

ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენება

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

ანალიზის და/ან სინთეზის მეთოდები აქტიურად გამოიყენება სწავლების პროცესში, რადგან სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლა, შედეგად, უფრო მარტივად რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხის დეტალური გაშუქება და/ან ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენა, რაც ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის, დანახვის უნარის განვითარებას, ღირებულია საკითხის უკეთ გააზრებისა და სტუდენტთათვის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. კონკრეტული მაგალითების განხილვით სტუდენტები ერთვებიან მსჯელობაში და ხდება მისი დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში, კონკრეტული საკითხების სიღრმისეულად ახსნა, ცნებათა შორის თუ ცალკეულ საკეითეხბტან მიმართებაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა

ევრისტიკული მეთოდის გამოყენება ხდება სხვადასხვა სახით: ევრისტიკული საუბარი, ამ შემთხვევაში სწავლება ორგანიზებულია ისე, რომ ცოდნის შეძენა ხდება ძიებისას, რომელსაც ხელმძღვანელობს ლექტორი, ან მიმართულებას აძლევს სახელმძღვანელო ლექტორი სპეციალური კითხვების დახმარებით უბიძგებს თავის აუდიტორიას სწორი პასუხების მიღებაში. იგი მოუწოდებს სტუდენტებს გამოიყენონ უკვე მიღებული გამოცდილება, შეადარონ საგნები, ობიექტები, ცნებები და ა. შ. ერთმანეთს და გააკეთონ სწორი დასკვნები. ვინაიდან ამ ტიპის სწავლება კოლექტიურია, ის საშუალებას იძლევა შეიქმნას ჯგუფური ინტერესის ატმოსფერო. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაიაზრონ უკვე ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ხელს უწყობს მათი აზროვნების განვითარებას - როგორც ლოგიკური, ასევე შემოქმედებითი

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად გამოიყენება პრობლემა, რომელიც შესაძლოა იყოს რაიმე კონკრეტული საკითხი, მეთოდური სიტუაცია და ა. შ.. სტუდენტი ამ პრობლემის ადექვატურად გადასაწყვეტად მუშაობს წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, მოიძიებს უახლეს სამეცნიერო მიღწევებს შესაბამის სფეროში, სტატიებს, კონფერენციის მასალებს და ყველა იმ მასალას, რომელიც დასმულ პრობლემას უკავშირდება. მოპოვებული მასალებისა და მონაცემების, აგრეთვე საკუთარი მოსაზრებების შეჯერება გაზიარება ხორციელდება თანაჯგუფელებთან კომუნიკაციით, რაც ხშირად ახალი ცოდნის შექმნის საფუძველი ხდება.

შემთხვევის შესწავლა: ეს მეთოდი საკმაოდ პოპულარულია იმგვარი სასწავლო კურსების ათვისებისას, როდესაც საჭირო ხდება კონკრეტული სიტუაციების განხილვა, შედარება სხვა სიტუაციებთან, ანალიზი, არსებითის გამოკვეთა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება. ე.წ. ,,ქეისები" იძლევა შესაძლებლობას, რომ ნათელვყოთ კონკრეტული იდეა, საკითხი, მიდგომა, მეთოდი და მათი გამოყენების პერსპექტივა, დადებითი მხარეები და შესაძლო სირთულეები.

პროექტებით სწავლება - სასწავლო თემატიკიდან გამომდინარე მცირე პროექტის დაგეგმვა/განხორციელება

პრაქტიკის კვლევა - ითვალისწინებს სტუდენტის მიერ სასკოლო პრაქტიკის განმავლობაში სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას, კვლევას და ინტერვენციების განსაზღვრას. პრაქტიკის კვლევა თავისთავად მოიცავს დაგეგმვას და დიზაინის შექმნას: მისი ეტაპების განსაზღვრას, სამოქმედო კვლევების ჩატარებას, მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზსა და გაზიარებას. პრაქტიკის კვლევის სათანადო წარმოდგენა და გაზიარება ფორმდება სამაგისტრო ნაშრომის სახით.

საკვლევი საკითხის/პრობლემის იდენტიფიცირებასა და გადაჭრაზე მუშაობენ სტუდენტები ჯგუფურად (არაუმეტეს სამი სტუდენტისა) და საკითხით დაინტერესებული პირი(ები) სკოლიდან, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელება. პრაქტიკის კვლევის თემატიკასა და შედეგებზე აიგება შემდგომ სამაგისტრო ნაშრომი, ამიტომ, პრატიკის კვლევას გარკვეულ თეორიულ კოორდინირებას უწევს პროფესორი, როგორც სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ლექციების მსვლელობისას თეორიული მასალის გაღრმავებას ხელს უწყობს **ჩაშენებული პრაქტიკა,** რაც ითვალისწინებს საადიტორიო შეხვედრებისას განხილული და ათვისებული გარკვეული მასალის გამოყენებას, ცოდნის განმტკიცებას, პრაქტიკულ რეალიზებას სხვადასხვა დავალებების შესრულებისას. დავალებებში წინასწარ განსაზღვრულია შესასრულებელი აქტივობები და დავალებაში წარმოსადგენი მოთხოვნები. პროცესი ხორციელდება წინასწარ დაგეგმილ დროს კონკრეტულ საჯარო სკოლაში ლექტორისა და საგნის მასწავლებლის უშუალო რეკომენდაციითა და ხელმძღვანელობით.

კონსულტაციები სტუდენტს ხელს უწყობს პედაგოგის დახმარებით დაეუფლოს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, სასწავლო ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის სწორად წარმართვას და დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში გარკვევას.

პრაქტიკის კვლევის ანგარიშის მომზადება არის პრაქტიკის კვლევის ბოლო ეტაპი. პრაქტიკის კვლევის მეთოდი ერთ-ერთია გამოყენებით კვლევებს შორის, რაც უკვე არსებული თეორიებისა თუ მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვასა და გამოყენებას მოიცავს, უშუალოდ განათლების სფეროში ეს გულისხმობს პროფესიულ სიტუაციებზე დაკვირვებას, რათა ამის მეშვეობით მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება, სიტუაციური ანალიზი და სწორი გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად. პრაქტიკის

კვლევა კვლევა-ძიებითი აქტივობაა, როდესაც კვლევის მონაწილეები და მკვლევარები თანამშრომლობითი კომუნიკაციური პროცესების მეშვეობით ერთობლივად ახდენენ ცოდნის გენერირებას. კვლევის ანგარიშის მომზადებით სტუდენტი ნათელყოფს კვლევის პროცესში გამოყენებულ მეთოდებს, შედეგებს, აყალიბებს დასკვნებს. ანგარიშის მომზადებით ხდება განხორციელებული აქტივობის ერთგვარი შეჯამება და ერთ სისტემაში მოყვანა.

ერთობ ღირებულია სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა, რომელიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით.

სასკოლო პრაქტიკა ემსახურება სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას. იგი ანვითარებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, სხვადასხვა მეთოდების, აქტივობების გამოყენებას შესწავლილი საგნის პრობლემების გადასაჭრელად, გარდა აღნიშნულისა, სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ზოგიერთ სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ე.წ. ,,ჩაშენებული პრაქტიკები". ამგვარი პრაქტიკების განხორციელება ხელს უწყობს ლექციების მსვლელობისას თეორიული მასალის გაღრმავებას და ითვალისწინებს საადიტორიო შეხვედრებისას განხილული და ათვისებული გარკვეული მასალის გამოყენებას, ცოდნის განმტკიცებას, პრაქტიკულ რეალიზებას სხვადასხვა დავალებების შესრულებისას. დავალებებში წინასწარ განსაზღვრულია შესასრულებელი აქტივობები და დავალებაში წარმოსადგენი მოთხოვნები. პროცესი ხორციელდება წინასწარ დაგეგმილ დროს კონკრეტულ საჯარო სკოლაში ლექტორისა და საგნის მასწავლებლის უშუალო რეკომენდაციითა და ხელმძღვანელობით.

სამაგისტრო ნაშრომი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების მეორე საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და პრატიკის კვლევის ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომი უნდა შეიცავდეს სამაგიდე კვლევაზე დაფუძნებულ პრაქტიკის კვლევის ანალიზსა და შედეგებს, შესაბამისი ინტერვენციებითა და რეკომენდაციებით. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული პრაქტიკის კვლევის დიზაინის დაუფლების დონე და სტუდენტის მზაობა მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

სტუდენტთათვის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი მხარდამჭერი მექნიზმია **კონსულტაციები** ლექტორთა მხრიდან, რაც ხელს უწყობს და კოორდინირებას უწევს სტუდენტს პედაგოგის დახმარებით დაეუფლოს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, სასწავლო ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის სწორად წარმართვას და დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში გარკვევას.

დასაქმების სფერო: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება რა განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ეძლევა უფლება, რომ იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და არჩევით: ან V-VI კლასის იმ ორი საგნის მასწავლებლად, რისი სწავლების უფლებაც ექნება მას. ან სპეციალურ მასწავლებლად შესაბამისი მოდულების სრულად გავლის შემთხვევაში, ასევე, არაფორმალურ განათლებაში, სადაც ესაჭიროებათ შესაბამისი კადრი განათლების მაგისტრის დარგობრივი თუ ზოგადტრანსფერული კომპეტენციებით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პროგრამის განხორციელებისათვის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, არის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები: ბუნებისმეტყველებისა და STEM ლაბორატორიები, ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი, სტუდენტთა ფსიქოლოგიური დახმარების კაბინეტი, საკონფერენციო დარბაზი, საკონსულტაციო ოთახი, უწყვეტი რეჟიმში მოწოდებული ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი; ასევე, თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი და წიგნადი

ფონდით და ელექტრონული ბაზებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებსა და ლექტორებს შეუძლიათ წვდომა საერთაშორისო ბაზებთან. კონკრეტულად, დარგობრივ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან:

EIFL-ის კონსორციუმის ბაზები პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობებით:

1. Cambridge Journals Online *(https://www.cambridge.org/core);*
2. e-Duke Journals Scholarly Collection *(https://read.dukeupress.edu/);*
3. Mathematical Sciences Publishers Journals*(https://msp.org/);*
4. SAGE Journals *(https://journals.sagepub.com);*

ელექტრონული წიგნების და ჟურნალების ბაზა (oxford university):

განათლება - https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/SOC01940

გარემოს დაცვა -https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/SOC02100

Elsevier მონაცემთა ბაზები

1. ScienceDirect®online http://www.scopus.com
2. Scopus® online https://www.sciencedirect.com

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტთა ცოდნის შეფასება და კრედიტის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობისთელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ცვლილებებით ოქმი # 11, 06.06.2024) შესაბამისად, რომლის თანახმადაც სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით:

- შეფასება ხორციელდება 2 აუცილებელი ფორმით, შუალედური შეფასებისა და ფინალური გამოცდის საფუძველზე: სემესტრული შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებებისა და ფინალური გამოცდის ქულათა ჯამით.
- დაუშვებელია კრედიტის მინიჭება მხოლოდ ერთი კომპონენტის გამოყენებით.
- კრედიტის მისანიჭებლად სტუდენტი ვალდებულია შეფასების თითოეულ კომპონენტში გადალახოს ქულათა მინიმალური ზღვარი, რაც თითოეული სასწავლო კურსისთვის მითითებულია შესაბამის სილაბუსში და რომელიც არ აღემატება შესაბამისი შეფასების 60%-ს;
- თითოეულ საგანში სტუდენტს კრედიტი ენიჭება სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ განხილული ერთ-ერთი დადებითი შეფასების საფუძველზე,

დეტალურად იხ. სასწავლო კურსების სილაბუსები.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

<u>მითითება:</u>

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ნიშნავს დამატებით გამოცდას. სასწავლო კომპონენტის შესაბამისი დამატებითი გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს ფინალური გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.
- სტუდენტს, რომელსაც დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულას მიიღებს, უფორმდება შეფასება F-0.

პროგრამის ფარგლებში რაოდენობრივ შეფასებასთან ერთად დაგეგმილია ლექტორთა მიერ სტუდენტების განმავითარებელი შეფასება (პედაგოგის, სტუდენტთა ურთიერთ და თვითშეფასებები), რომელიც პირდაპირი (მაგრამ არა ერთადერთი) სტრატეგიული ინსტრუმენტია სტუდენტებისათვის ზოგადი(ტრანსფერული) უნარების განსავითარებლად.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ისწავლის სსსმ/შშმ პირი, მისთვის გათვალისწინებული იქნება პროგრამის ორგანიზების ცალკეული პუნქტების განხორციელების შემდეგი ფორმები:

შუალედურ და ფინალურ გამოცდაზე გასათვალისწინებელი აკომოდაციის ფორმები:

- გამოცდის გაზრდილი დრო .
- ტექნოლოგიების გამოყენება(მაგ.:კითხვების ხმამაღლა წაკითხვისთვის)
- გამოცდის დისტრაქტორებისგან თავისუფალ გარემოში ჩატარება
- ხანმოკლე შესვენებები გამოცდის მანძილზე
- საგამოცდო ფურცელის ფორმატის (შრიფტი, ზომა) ცვლილება
- კალკულატორის გამოყენება;
- დროის შემცირება;
- შეფასების, გამოცდის ეტაპობრივი ჩატარება;
- გამოცდების ინდივიდუალური გრაფიკი

სწავლების პროცესში დახმარების ფორმები:

- ინდივიდუალური კონსულტაციები;
- ფიზიკური მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სწავლების ინდივიდუალური განრიგი;
- ინსტრუქციის/მასალის მიწოდება სხვადასხვა გზებით;
- აუდიო მასალის გამოყენება;
- წერითი აქტივობის ზეპირით ჩანაცვლება;
- ზეპირი აქტივობის წერით (სხვა ფორმით) ჩანაცვლება.

პროგრამა ხორციელდება ხუთი სასწავლო წლის მანძილზე, ათი ცხრამეტკვირიანი სემესტრის განმავლობაში. მათგან, ყოველ სემესტრში მერვე კვირა განკუთვნილია შუალედური წერისთვის, ხოლო მეთხუთმეტე კვირა-პრეზენტაციისთვის, მე-16 და მე-17 კვირები განკუთვნილია ფინალური გამოცდისთვის, ხოლო მე-18 და მე-19 კვირები-დამატებითი გამოცდებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო კომპონენტს, ისე კვლევით კომპონენტს, რაც აისახება პრაქტიკის კვლევაში და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება-დაცვაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან ურთიერთთანამშრომლობის და საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, მათი რეკომენდაციებით და/ან რესურსების გამოყენებით და საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მომზადდა რიგი სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილ იქნა პროგრამაში საანგარიშე პერიოდში (2018 წლიდან დღემდე) და ემსახურება

მასწავლებლის სპეციალობისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებასა და განვითარებას, ეს სასწავლო კურსებია:

1. მასწავლებლის პორტფოლიო და რეფლექსია
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, მისი ძირითადი კონცეფცია და განხორციელების მეთოდური ორიენტირები
3. უცხო ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა-(დარგობრივი B2.2)
4. უცხო ენა (ინგლისური, რუსული ენა, B2.2, დარგობრივ ლიტერატურაზე მუშაობა)
5. სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები, აქტივობები და რესურსები მათემატიკის სწავლებაში დაწყებით საფეხურზე.
6. დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია
7. ინტელექტუალური განვითპრაქარების დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია
8. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია
9. ბუნებისმეტყველებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით საფეხურზე.
10. ბუნებისმეტყველების კვლევაზე დაფუძნებული სწავლება დაწყებით საფეხურზე
11. STEM კონცეფციის დანერგვა სასწავლო პროცესში
12. გენდერულად პასუხისმგებლიანი სკოლა
13. სოციალური უნარების სწავლება დაწყებით განათლების სპეციალისტებისთვის
14. თვითრეგულირებადი სწავლის ხელშეწყობა და დამოუკიდებელი მოსწავლეების კულტივირება
15. ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება დაწყებით კლასში
16. პროექტზე დაფუძნებული სწავლება დაწყებით საფეხურზე
17. პრაქტიკა ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრში
18. სოციალური ინკლუზია
19. სპეცმასწავლებლის მუშაობა სსმ მოსწავლესთან (ისგ)
20. სპეცმასწავლებლის მუშაობა სსმ მოსწავლესთან (ინტერვენციის გეგმა)
21. სასკოლო პრაქტიკა სპეციალური მასწავლებლის მოდულის მიმართულებით.

ასევე, ცალკეულ სასწავლო კურსებში მოხდა რიგი საკითხების ინტეგრირებაც, რაც ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე სწავლა-სწავლებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და შესაბამისად, პედაგოგიური კადრის მომზადებისთვის.

სტუდენტთა სასწავლო დატვირთვისას უპირველესად გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო დრო და ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს. კრედიტების დაახლოებით მესამედი გათვლილია სააუდიტორიო შეხვედრებისთვის, ხოლო დანარჩენი, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის, 1 კრედიტი უტოლდება 25 სთ-ს. სასკოლო პრაქტიკაზე სტუდენტის მიერ გატარებული საკონტაქტო საათებისთვის გამოყოფილია სასკოლო პრაქტიკის კრედიტის შესაბამისი საერთო საათების რაოდენობის არანაკლებ 1/3-ისა. პრაქტიკის დეტალური გეგმა: იხილეთ შესაბამისი სილაბუსები. პროგრამის სტრუქტურა ემყარება კომბინირებულ ვარიანტს: მოდულები და ცალკეული კურსები, მათი კრედიტები, გადანაწილება სემესტრების მიხედვით და თითოეულის სტატუსი და პრერეკვიზიტები ნათლად არის მითითებული.

პროგრამის აგების დროს გათვალისწინებულია სასწავლო კურსების და მათი სწავლების ლოგიკური თანმიმდევრობის სპეციფიკა. მასწავლებლის მომზადების, ასევე, ცალკეული საგნების შესაბამისი კურსების შემდეგ შეისწავლება საგანთა სწავლების მეთოდიკები და მხოლოდ ამის შემდგომ ხორციელდება სასკოლო პრაქტიკა, თუმცა, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რიგ კურსებში სასკოლო პრაქტიკამდე ხორციელდება ე.წ ჩაშენებული პრაქტიკები.

პროგრამაში ყველა კომპონენტი და მათ შორის თანაფარდობა ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს მყარი და საფუძვლიანი განათლების მიღებას სტუდენტთა პროფესიული მომზადებისათვის საჭირო დისციპლინებში.

პროგრამა შეიცავს ძირითად (სავალდებულო ყველა სტუდენტისთვის) ნაწილს და დამატებით (არჩევითი მოდულების შესაბამისად) ნაწილებსაც: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ცვლილებების შესაბამისად პროგრამაში ჩაშენდა სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდული, რომელიც მოიცავს 63 ECTS კრედიტს. (მათგან 50 კრედიტი არის სპეციალური მასწავლებლის მომზადების სპეციფიკური კურსები, ხოლო დანარჩენი 13 კრედიტი შევსებულია პროგრამის ძირითადი ნაწილიდან. ამავდროულად, სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულთან ერთად, პროგრამა კვლავინდებურად მოიცავს საგნობრივ-მეთოდურ მოდულსაც, მე-5 -მე-6 კლასებში ქართულის/ მათემატიკის/ ბუნებისმეტყველების, აღნიშნულთაგან ნებისმიერი ორი საგნის, სწავლების მიმართულებით, რომელიც ჯამში მოიცავს 50 კრედიტს. ორივე მოდული არის არჩევითი და ცალკ-ცალკე ჯამურად პროგრამის ძირითად ნაწილთან ერთად შეადგენს 300 კრედიტს.

ამდენად, პროგრამაში კრედიტების რაოდენობა გადანაწილებულია შემდეგი სახით:

პროგრამის <u>ძირითადი ნაწილი</u> მოიცავს 250 კრედიტს, მათ შორისაა:

- თავისუფალი კომპონენტების მოდული (**34** კრ)
- პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (ქართული/მათემატიკა/ბუნებისმეტყველება) და მეთოდური მოდული (**160**კრ)
- სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული, (**56** კრ)

ბ) **მე-5 და მე-6 კლასებში ქართულის და/ან მათემატიკის და/ან ბუნებისმეტყველების (მათგან არჩევით ორი საგნის) სწავლების მოდულის** შემთხვევაში აღნიშნულ კრედიტებს ემატება 50 კრედიტი: მე-5 და მე-6 კლასებში საგნობრივი და მეთოდური კომპონენტების-40 კრ და სასკოლო პრაქტიკის- 10 კრ (ეს უკანასკნელი პროგრამის ძირითადი ნაწილის სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულთან ერთად ქმნის 66 კრედიტს).

გ) **სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულის** შემთხვევაში პროგრამის ძირითადი ნაწილის კრედიტებს ემატება 50 კრ, მათ შორის: სპეციალური მასწავლებლის მომზადების კურსები-35 კრ, და სპეციალობისთვის საჭირო პრაქტიკის-15 კრ. (ეს უკანასკნელი პროგრამის ძირითადი ნაწილის სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულთან (56 კრ) ერთად ქმნის 71 კრედიტს).

გარდა აღნიშნულისა, **სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულში** შედის პროგრამის ძირითადი ნაწილიდან პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მოდულში შემავალი 3 სასწავლო კურსიც 13 კრედიტის ოდენობით, რაც ჯამში ამ მოდულისთვის ქმნის 63 კრედიტს.

(იხ. დანართი : ,,სასწავლო გეგმა“ და შესაბამისი სილაბუსები.)

თავისუფალი კომპონენტების მოდული (34 კრ) მოიცავს გაღრმავებულ სპეციალიზირებულ სასწავლო კურსებს და კურსებს, რომელთა სწავლებაც ორიენტირებულია მასწავლებლის სპეციალობისთვის საჭირო ზოგადტრანსფერული კომპეტენციების განვითარებაზე. სასწავლო კურსები არის როგორც სავალდებულო (30 კრ), ისე არჩევითი (4 კრ), რომელსაც სტუდენტი ირჩევს იმ საუნივერსიტეტო და პროგრამით შეთავაზებული სპეციალიზებული სასწავლო კურსებიდან, რომლებიც შერჩეულია სპეციალურად მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და/ან ორიენტირებული უშუალოდ მასწავლებლის მომზადებისთვის საჭირო ცოდნის გაღრმავებასა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

- პროგრამის ძირითადი ნაწილის სპეციალობის კომპონენტიდან **საგნობრივ და მეთოდურ მოდულიდან (160 კრ)** პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, და სპეციალურ სხვა სასწავლო კურსებს ეთმობა სულ 80 კრ, მათ შორის 74 კრ სავალდებულო, ხოლო 6 კრ არჩევითი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (ქართული/მათემატიკა/ბუნებისმეტყველება) და მეთოდურ ნაწილს (I-IV კლ შესაბამისი) ეთმობა 8**0** კრ, ყველა სავალდებულო კურსია.
- სასკოლო პრაქტიკის (I-IV კლ შესაბამისი-22 კრ) და პრაქტიკის კვლევის მოდულს ეთმობა (**34** კრ), სულ 56 კრ, რომლის ათვისებაც სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის, მიუხედავად არჩევითი მოდულის არჩევანისა.

I-VI სემესტრებში შეისწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების მოდულების ძირითადი სავალდებულო კურსები (40კრ) და აღნიშნული საგნების სწავლების მეთოდიკები (40კრ), რაც შესაბამისობაშია დაწყებითი საფეხურის (1-4 კლ) მასწავლებლის სტანდარტთან უფროსი მასწავლებლის კომპეტენციების გათვალისწინებით ასევე, 1-4 კლასების საგნობრივ სტანდარტებთან**.**

V სემესტრში სტუდენტი არჩევანს აკეთებს ორი მოდულის ფარგლებში, რომელთა განხორციელებაც იწყება VI სემესტრიდან:

ა) მე-5 და მე-6 კლასებში ქართულის და/ან მათემატიკის და/ან ბუნებისმეტყველების (მათგან ორის არჩევით) საგნების სწავლების მიმართულებით; აღნიშნული მოდული შეიცავს **საგნობრივ** (ქართული/მათემატიკა/ბუნებისმეტყველება) (მათგან სტუდენტი ირჩევს ორს 20 კრ-ის ფარგლებში) და **მეთოდურ** ნაწილს (V-VI კლ შესაბამისი) (სტუდენტი არჩეული საგნების შესაბამისად ირჩევს ორს 20 კრ-ის ფარგლებში). ეს ჯამურად შეადგენს 4**0** კრ არჩევით კურსს. აღნიშნული მოდული ასევე შეიცავს სასკოლო პრაქტიკას V-VI კლასებში არჩეული საგნების შესაბამისად - 10 კრ.

	I-IV კლასები:	კრედიტები	სტატუსი	**V-VI კლასები:**	კრედიტები	სტატუსი
საგნობრივი მოდულები	ქართული ენა და ლიტერატურა	16	სავალდ	ქართული ენა და ლიტერატურა	10	არჩევითი
	მათემატიკა	16	სავალდ	მათემატიკა	10	არჩევითი
	ბუნებისმეტყველება	8	სავალდ	ბუნებისმეტყველება	10	არჩევითი
სულ		40		სულ 20 კრ. (ირჩევს ორ სასწ კურსს)		
საგანთა სწავლების მეთოდიკები	ქართული ენის, /ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა	15	სავალდ	ქართულის ენის სწავლების მეთოდიკა	10	არჩევითი
	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა	15	სავალდ	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა	10	არჩევითი
	ბუნებისმეტყველების	10	სავალდ	ბუნებისმეტყველების	10	არჩევითი

	სწავლების მეთოდიკა			სწავლების მეთოდიკა		
სულ		40		სულ 20კრ (უკვე არჩეული სასწ კურსების შესაბამისი მეთოდიკები)		
პრაქტიკა	სასკოლო პრაქტიკა I-IV კლ-ში	22	სავალდ	სასკოლო პრაქტიკა V-VI კლ-ში	10	სავალდებულო
	პრაქტიკის კვლევა სამაგისტრო ნაშრომი- 34 კრ					
ჯამურად ეს შეადგენს: საგნობრივი (ქართული/მათემატიკა/ბუნებისმეტყველება) და მეთოდური მოდული-120 კრ საკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა -66 კრ						

ბ) სპეციალური მასწავლებლის მომზადების მიმართულებით. აღნიშნული არჩევანის საფუძველზე კურსდამთავრებულს ეძლევა დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების სწავლების და სპეციალურ მასწავლებლად მუშაობის უფლება სკოლაში.

	I-IV კლასები:	კრედიტები	სტატუსი	სპეციალური მასწავლებლის მოდული	კრედიტები	სტატუსი
საგნობრივი მოდულები	ქართული ენა და ლიტერატურა	16	სავალდ	მხოლოდ ამ მოდულისთვის განკუთვნილი სპეციალობის შესაბამისი სასწავლო კურსები	35	30 კრ სავალდებულო 5 კრ-არჩევითი
	მათემატიკა	16	სავალდ	ძირითადი პროგრამიდან სპეციალობის შესაბამისი სასწავლო კურსები	9	სავალდებულო
	ბუნებისმეტყველება	8	სავალდ	პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მოდულში შემავალი კურსები	4	სავალდებულო
სულ		40		სულ 48 კრ. (მათგან ძირითადი პროგრამიდან არის 13 კრ		
საგანთა სწავლების მეთოდიკები	ქართული ენის, /ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა	15	სავალდ	პრაქტიკა ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრში	5	სავალდებულო
	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა	15	სავალდ	სასკოლო პრაქტიკა სპეც მასწავლებლის მოდულის მიმართულებით	**10**	სავალდებულო
	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა	10	სავალდ			

		40				
პრაქტიკა	სასკოლ ო პრაქტიკა I-IV კლ-ში	22	სავალ დ	სულ:	15	სავალდ ებულო
				სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდული ჯამურად: 63 კრ		
	პრაქტიკის კვლევა სამაგისტრო ნაშრომი-34 კრ					

პრაქტიკის შემთხვევაში რიგი სასწავლო კურსების სწავლებისათვის გარდა სააუდიტორიო ფორმისა, გათვალისწინებულია **ჩაშენებული პრაქტიკის** გავლა. ის გარკვეულ ,,მოსამზადებელ" ეტაპს წარმოადგენს სტუდენტთათვის სკოლაში საქმიანობისა და პროფესიული კომპეტენციების დასაუფლებლად. ითვალისწინებს გარკვეული დავალებების შესრულებას სკოლის ბაზაზე ხანმოკლე ვიზიტისას, უშუალო კონტაქტს საგაკვეთილო პროცესთან სასკოლო გარემოში. ჩაშენებული პრაქტიკის დროს სტუდენტი აკვირდება სასწავლო პროცესს, მასწავლებელთან ერთად მონაწილეობს დაგეგმვაში, ასისტირებას უწევს მას საგაკვეთილო პროცესში, აანალიზებს ნანახს; ჩაშენებულ პრაქტიკაზე სტუდენტები შეიძლება განაწილდნენ მცირე ჯგუფებადაც.

ჩაშენებული პრაქტიკა, ცხადია, ხელს უწყობს სტუდენტის მიერ ცოდნის პრაქტიკულ რეალიზების უნარ-ჩვევების, პროფესიული კომპეტენციების დაუფლებას, სასკოლო სიტუაციების უკეთ შესწავლას, გამოკვლევას და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე საკუთარი აქტივობების უკეთ დაგეგმვა-განხორციელებას. ყოველი ასეთი დავალება ფასდება გარკვეული ქულებით, რაც ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსში.

ეს სასწავლო კურსებია:

1. მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების ზოგადი საკითხები;
2. ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში 1 ;
3. ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში2;
4. კითხვისა და წერის სტრატეგიები დაწყებით კლასებში ;
5. ქართული ლიტერატურის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში (V-VI;
6. ინკლუზიური განათლება;
7. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება;
8. კვლევის მეთოდები განათლებაში;

სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა:

მოდულს დათმობილი აქვს **V-VI კლ საგნობრივი და მეთოდური მოდულის შემთხვევაში 66 კრ, ხოლო სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდულის შემთხვევაში-71 კრ.** იმისათვის, რომ სტუდენტი უკეთ მოემზადოს აქტიური სასკოლო პრაქტიკისათვის, სასწავლო გეგმის პრაქტიკის მოდულში გათვალისწინებულია ე.წ. პასიური პრაქტიკა, 2 კრ, რომელიც მოიაზრებს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის და სკოლის საქმიანობის სპეციფიკის გაცნობა-დაკვირვებას. უშუალოდ სასკოლო პრაქტიკა ხორციელდება სამი სემესტრის განმავლობაში. პირველ ეტაპზე ის

ითვალისწინებს პრაქტიკის გავლას 10 კრედიტის ფარგლებში 1-2 კლასებში, შემდეგი სემესტრი-10 კრედიტის გავლა 3-4 კლასებში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ირჩევს 5-6 კლ საგნობრივ-მეთოდურ მოდულს, მაშინ იგი მე-9 სემესტრში გადის სასკოლო პრაქტიკას 5-6 კლასებში სტუდენტის მიერ არჩეულ ორ საგანში, ხოლო თუ სტუდენტი ირჩევს სპეცმასწავლებლის მომზადების მოდულს, მაშინ იგი მე-8 სემესტრში გადის პრაქტიკას ე.წ. ,,ადრეული განვითარების ცენტრში" (5 კრ) და მე-9 სემესტრში კი-პრაქტიკას სკოლაში სპეციალური მასწავლებლის პროფესიული მიმართულებით (10 კრ).

პრაქტიკის ყოველ ეტაპზე, სტუდენტს ევალება საგნის პედაგოგთან შეთანხმებით და კონსულტაციით გამოკვეთოს საჭიროებები და შეარჩიოს მისთვის საინტერესო პრობლემატური 1-2 საკითხი შემდგომი კვლევისთვის, რომელსაც ასახავს პორტფოლიოში. სამივე პრაქტიკის დასრულების შემდეგ, შერჩეული (მინიმუმ 3 საკითხიდან) სტუდენტი არჩეული საკითხებიდან და/ან მათი ინტეგრირებით, სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციით შეარჩევს ერთს, რომელზედაც იწყებს პრაქტიკის კვლევას მეცხრე-მეათე სემესტრში. კვლევის პარალელურად, სტუდენტი მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე, სადაც ასახავს კვლევის შედეგებს, აფორმებს სამაგისტრო ნაშრომის სახით და წარადგენს განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში ყველა იმ მოთხოვნების დაცვით, რაც ასახულია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში: ,,სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულება", ,,სილაბუსი: პრაქტიკის კვლევა - სამაგისტრო ნაშრომი".

კვლევითი კომპონენტი: საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სახით და დათმობილი აქვს 30 კრედიტი**.**

- აღნიშნული კვლევითი კომპონენტის მიზანია, მაგისტრანტმა განათლების სფეროში უახლესი მიღწევების გათვალისწინებით და შეძენილი დარგობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებით: სისტემური სახით წარმოადგინოს პროგრამაზე სწავლის მანძილზე მიღებული თეორიული ცოდნა,
- პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები;
- შეიძინოს სამაგისტრო დონის შესაბამისი კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, შეძლოს პრობლემის დასმა, მისი განხორციელების გზებისა და სტრატეგიების შერჩევა და დასახული პრობლემის კომპლექსურად, ზუსტად, ეფექტურად და პროფესიულ დონეზე გადაჭრა;
- მოახდინოს მიღებული შედეგების მაღალ აკადემიურ დონეზე, აკადემიური სტანდარტებისა და პატიოსნების პრინციპების გათვალისწინებით, წერილობით მომზადება და პროფესიონალების წინაშე ზეპირად გადმოცემა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

სამაგისტრო ნაშრომი სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს წარმოადგენს, რომლის შესრულების პროცესში სტუდენტს უყალიბდება მეცნიერული საქმიანობისა და სამეცნიერო შედეგების შეფასების კომპეტენციები და ღირებულებები.

სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს განათლების სფეროს აქტუალურ საკითხებს. კვლევითი სამუშაოს ჩატარების საფუძველზე სტუდენტი ავითარებს დარგში ცოდნას, რითაც მას წვლილი შეაქვს განათლების სფეროში ახალ ღირებულებათა დამკვიდრებაში.

კვლევის თემატიკა შესაბამისობაში უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურის მეთოდურ და/ან სპეციალური განათლების მოდულებთან, რაც შეიძლება ეხებოდეს: კონკრეტული საგნის სწავლების მეთოდიკას, ინკლუზიურ განათლებას, სასკოლო განათლების თუ სპეციალური განათლების აქტუალურ საკითხებს ფსიქოლოგიის საკითხებთან ინტეგრირებით. ამავდროულად, თუ საკვლევი თემა ეხება კონკრეტული საგნის სწავლა-სწავლების აქტუალურ საკითხებს, მაშინ ორივე მოდულის სტუდენტებისთვის ის შესაძლოა იყოს 1-4 კლასებისთვის სამივე საგნობრივი მიმართულებით და ან ა) იმ საგნებიდან ერთ-ერთის შესაბამისი, რომელთა სწავლების

მიმართულებითაც გააკეთა სტუდენტმა არჩევანი მე-5-მე-6 კლასებში სწავლების უფლებით. ან ბ) სპეციალური მასწავლებლის მოდულის არჩევანის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია შეარჩიოს კვლევის თემა ინკლუზიური განათლების საკითხებზე.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას, კვლევის ჩატარებამდე სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ისეთი სასწავლო კურსების შესწავლა, რითაც სტუდენტი იძენს კვლევისთვის საჭირო ცოდნასა და კომპეტენციებს, როგორიცაა, კვლევის მეთოდები განათლებაში (5 კრ), პრაქტიკის კვლევა დაწყებით საფეხურზე, რომელსაც პრაქტიკის მოდულში დათმობილი აქვს 4 კრ. და სხვ. რაც თეორიულ ბაზისს ქმნის შემდგომ ეტაპზე პრაქტიკის კვლევის განსახორციელებლად.

აკადემიური პროგრამის ყველა კომპონენტის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი ადასტურებს საგნობრივ, მეთოდურ, კვლევით და პრაქტიკულ კომპეტენციებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვით, რის შედეგადაც კურსდამთავრებულზე გაიცემა დიპლომი განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხით.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:</u> პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში არის შესაბამისი ადამიანური რესურსი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი:

№	ლექტორის სახელი გვარი,	კვალიფიკაცია	დაკავებული თანამდებობა	სასწავლო კურსების დასახელება
1	სოფიო არსენიშვილი	ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი	მოწვეული ლექტორი	ინტერკულტურული განათლება
2.	ნინო ბასილაშვილი	ფსიქოლოგიის დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	✓ ზოგადი ფსიქოლოგია ✓ განვითარების ფსიქოლოგია ✓ სტრესის დაძლევის ფსიქოლოგიური მექანიზმები
3.	ნათელა ბაღათრიშვილი	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• ბუნებისმეტყველების კვლევაზე დაფუძნებული სწავლება დაწყებით საფეხურზე • ბუნებისმეტყველებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით საფეხურზე. • ბუნებისმეტყველება 1 (I-IV კლ) • ბუნებისმეტყველება 3 (V-VI კლ) • ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა

				დაწყებითკლასებში 1 (I-IV კლ) • პრაქტიკის კვლევა დაწყებით საფეხურზე • მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე • STEM კონცეფციის დანერგვა სასწავლო პროცესში • ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება დაწყებით კლასში
4.	ნათია გაბაშვილი	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• ინგლისური ენა (B2.1) • ინგლისური ენა დარგობრივ ლიტერატურაზე მუშაობა (B2.2) • პროექტზე დაფუძნებული სწავლება დაწყებით საფეხურზე
5.	ნუნუ გელდიაშვილი	ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი	სტილისტიკა
6.	მზია გიგაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი ასისტენტ პროფესორი	• ქართული ენა 1 (ფონეტიკა და მორფოლოგია) • ქართული ენა 2 (სინტაქსი და ლექსიკოლოგია) • მეტყველების კულტურის საკითხები
7.	ნინო გიგილაშვილი	განათლების დოქტორი	ასისტენტ პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• გენდერულად პასუხისმგებლიანი სკოლა • პედაგოგიური ეთიკა • დემოკრატიული განათლების პრინციპები • სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება დაწყებით განათლების სპეციალისტებისთვის

8.	ნინო გიორგაძე	ფილოლოგიის დოქტორი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი	ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები
9.	ანა გიგაური	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა დაწყებით საფეხურზე • ინგლისური ენა (B1.1) • ინგლისური ენა (B1.2)
10.	მარიამ ზაქარიაშვილი	პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ინფორმატიკის მიმართულებით	აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი	კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები
11.	სალომე თათულიშვილი	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• კვლევის მეთოდები განათლებაში • წიგნიერება და აზროვნება • თვითრეგულირებადი სწავლის ხელშეწყობა და დამოუკიდებელი მოსწავლეების კულტივირება; • პასიური პრაქტიკა
12.	ნინო კოჭლოშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი	ქართული საბავშვო ლიტერატურა
13.	დავით მახაშვილი	განათლების დოქტორი	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• განათლების პოლიტიკა • სააღზრდელო პროცესის ორგანიზება • თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები • სასკოლო პრაქტიკა 1(I-II კლ) • სასკოლო პრაქტიკა 2 (I I I - IV კლ)
14.	მედეა მეტრეველი	ფილოლოგიის დოქტორი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ	• რუსული ენა (B1.1) • რუსული ენა (B1.2) • რუსული ენა (B2.1)

			პროფესორი რუსული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით	• რუსული ენა დარგობრივი (B2.2) • რუსული ენა დარგობრივ ლიტერატურაზე მუშაობა) B2.2,
15	თამარ მიქელაძე	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• ინგლისური ენა დარგობრივი (B2.2), • მასწავლებლის პორტფოლიო და რეფლექსია
16	ნინო მოდებაძე	განათლების დოქტორი	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• ეროვნული სასწავლო გეგმა და მისი ძირითადი კონცეფცია და განხორციელების მეთოდური ორიენტირები; • განვითარების და სწავლების თეორიები • სასკოლო პრაქტიკა 1 (1-2 კლ) • სასკოლო პრაქტიკა 2 (3-4 კლ) • პრაქტიკის კვლევა - სამაგისტრო ნაშრომი • სასკოლო პრაქტიკა 3 (5-6 კლ) • ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია
17	ალექსანდრე მოსიაშვილი	ისტორიის აკადემიური დოქტორი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი	საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსი
18	თამარ ნადირაძე	ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის პრ ოფესორი	ბავშვის ანატომია, ფიზიოლოგია , ჰიგიენა
19	ნინო ნახუცრიშვილი	განათლების დოქტორი	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების ზოგადი საკითხები

				• მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა 1 (I-IV კლ) • მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები დაწყებით საფეხურზე • მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა 2 (V- VI კლ) • ..სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები, აქტივობები და რესურსები მათემატიკის სწავლებაში დაწყებით საფეხურზე • ,,დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია;.
20	ნინო ჟონჟოლაძე	ფიზიკის დოქტორი	აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასის ტენტ პროფესორი	• ბუნებისმეტყველება 2 (I-IV კლ) • ბუნებისმეტყველება 4 (V-VI კლ) • ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში 2 (I-IV კლ • ინტეგრირებული მიდგომა ბუნებისმეტყველების სწავლა-სწავლების პროცესში
21	მაკა სიდამონიძე	განათლების მეცნიერებების დოქტორი	ასისტენტი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში1 • ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კ ლასებში 2 • ქართული ლიტერატურის სწ-ის დიდაქტიკა დაწყებით კლასებში (V-VI) • ბუნებისმეტყველებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით საფეხურზე.

22	ნათელა მაღლაკელიძე	განათლების მეცნიერებათა დოქტორი	მოწვეული დოქტორი	• კითხვისა და წერის სტრატეგიები დაწყებით კლასებში • ქართული ლიტერატურის სწ-ის დიდაქტიკა დაწყებით კლასებში (V-VI) • ტექსტზე მუშაობის საკითხები V-VI კლასებში
23	ირმა შიოშვილი	ფილოსოფიის დოქტორი	სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, პროფესორი	შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში
24	შორენა ძამუკაშვილი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება • ინკლუზიური განათლება • სსსმ მოსწავლეთა სწავლება • ინკლუზიური სკოლამდელი განათლება • სასკოლო პრაქტიკა სპეციალური მასწავლებლის მოდულის მიმართულებით • ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია
25	ლალი ძამუკაშვილი	განათლების დოქტორი	სოციალურ მეცნიერებათა დეპარატმენტი ასოცირებული პროფესორი	აკადემიური წერა
26	ია ჩაქიაშვილი	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	✓ განათლების ფსიქოლოგია ✓ სოციალური ფსიქოლოგია ✓ სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება დაწყებით განათლების სპეციალისტებისთვის ✓ სოციალური ინკლუზია

27	ნინო ვაყელიშვილი	განათლების დოქტორი	მოწვეული ლექტორი	• მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები (მათემატიკური ცნებები და მიმართებანი • მთელი არაუარყოფითი რიცხვები, რაოდენობრივი თეორია • სიდიდეები და რიცხვის ცნების გაფართოება • ალგებრის ელემენტები და კანონზომიერებანი
28	ალექსანდრე თანდილაშვილი	კოლეჯ ,,პრესტიჟის" პედაგოგი. კომაროვის შაბათის სკოლის პედაგოგი	მოწვეული ლექტორი	• გეომეტრიისა და სტატისტიკის ელემენტები 1 • გეომეტრიისა და ალბათობა სტატისტიკის ელემენტები 2
29	თამარ თუშიშვილი	ფსიქო საგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების გუნდის წევრი, ადრეული განვითარების ინტერვეციონისტი	მოწვეული ლექტორი	• სპეც მასწავლებლის მუშაობა სსმ მოსწავლესთან (ისგ) • პრაქტიკა ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრში • სპეც მასწავლებლის მუშაობა სსმ მოსწავლესთან (ინტერვენციის გეგმა)
30	მევლუდ მაისურაძე	საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი	მოწვეული ლექტორი	კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით

გარდა აღნიშნული რესურსისა, გამოყენებულია სხვა რესურსებიც: პროგრამის პრაქტიკის კომპონენტების განსახორციელებლად უზრუნველყოფილია კახეთის რეგიონის საჯარო სკოლებთან თანამშრომლობა, მემორანდუმი, სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან პარტნიორობა, რაც ამავე დროს ემსახურება პერსონალის პროფესიულ განვითარებას და პროგრამის დახვეწას.

პროგრამას თან ახლავს:

1. სასწავლო გეგმა
2.სასწავლო კურსების სილაბუსები
3 თვითშეფასებით გათვალისწინებული თანმდევი დოკუმენტაცია